საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 20 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Райкома Совета народных депутатов

№81 (6307) შაბათი 7 ივლისი 1990 წელი ფასი 8 კაპ.

6 თვის გეგმა გადამეტებით

როცა

საერთო

მონდომებაა

მიმდინარე წელი კარგად დაიწყეს რაიონის ვაჭრობის მუშაკებმა. მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების 6 თვის გეგმა 106 პროცენტით შესრულეს. რაიონის მშრომელებს გაეწიათ 4972000 მანეთის მომსახურება, როცა გეგმა 4673000 მანეთს ითვალისწინებდა. სასიამოვნოა, რომ დავალების შესრულება უზრუნველყო ალპანის სავაჭრო დარგობრივმა გაერთიანებამ.

ვაჭრობის მუშაკები მტკიცედ დგანან იმ პოზიციაზე, რომ ყოველი ღონე იხმარონ მომსახურების წლიური გეგმის შესრულებისათვის.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 3 ივლისს, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ს. ი. გურენკო—უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობაზე განახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ანგარიშების მოსმენა. სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ლ. ნ. ზაიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ე. ა. შევარდნაძე—სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ი.დ. მასლიუკოვი—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი, რომელიც წინათ რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა.

შემდეგ სკკპ XXVIII ყრილობის სამდივნოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მისმა ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

შესვენების შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა ნ. ა. ნაზარბაევის—ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ მოისმინა და ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ი. ა. მანაენკოვმა.

შემდეგ ანგარიშებით გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ა. კრიუჩკოვი—სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. პ. რაზუმოვსკი— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და დ. ტ. იაზოვი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ე. სოკოლოვი—ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ა. ა. ნიზოვცევამ.

მოხსენება სკკპ ბიუჯეტისა და ქონების შესახებ გააკეთა ნ. ე. კრუჩინამ.

საღამოს სხდომის დასკვნით ნაწილს უძღვებოდა მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობამ შექმნა ძირითადი პარტიული დოკუმენტების პროექტების მომმზადებელი კომისია.

● ● ●

1990 წლის 4 ივლისის დილის სხდომაზე დაიწყო და გაგრძელდა კამათი განხილული საკითხების გამო.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ დაამთავრა პარტიული დოკუმენტების პროექტების მომმზადებელი კომისიების შექმნა.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 5 ივლისს მუშაობა განაგრძონ სკკპ საქმიანობის ძირითად მიმართულებათა სექციებში.

20 ტონა აბრეშუმის პარკისათვის

●

აცხადებული მიზანი

ბავშვობიდან შრომას შეზრდილი ახალგაზრდაა ლასურიაშელი გია სვანიძე. რაც თავი ახსოვს, სხვა საქმიანობასთან ერთად ოჯახში ყოველწლიურად უვლიდნენ აბრეშუმის ჭიებს, ჭია-ფეიქრის მოვლა, ზრდა-განვითარება ინტერესს იწვევდა მასში და აკი ბავშვობიდანვე აქტიურობდა კიდეც, დედის, მოწინავე მეაბრეშუმის სონია სვანიძის გვერდით იდგა ჭიებისათვის თუთის მომარაგება იყო თუ ფოთლის გამოკრეფა, კვება თუ საფენების გამოცვლა. სიამოვნებდა დაძაბული შრომის შემდეგ მიღწეული მიზანი, თეთრი პარკებით დატვირთული ცახები.

არც ერთი წელი არ ყოფილა ისეთი, რომ მიმღებ პუნქტში 40-50 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი არ მიეტანათ.

გამოცდილების მქონე ახალგაზრდა დედ-მამას არც კი დაეკითხა ისე გაიყვანა 60 გრამი მური, თავდაპირველად ბინაზე მიდგა საქმე, იქვე სახლის მახლობლად მდებარე საკმაო ფართობის მქონე მარნის შენობა ითხოვა. სასიკეთო საქმისათვის მონდომება შეატყვეს და უარი არავის უთქვამს, წესრიგში მოიყვანა და ჭიებს საიმედო ბინა მიუჩინა. ვინ მოთვლის რამდენი წვალება და შრომა დასჭირდა 50 ჩელტი ჭიის გამოსაკვებად.

ყველაზე მეტად თუთის ფოთლისათვის ზრუნვა იყო ძნელი, მადლობა ღმერთს, შინ და გარეთ ბევრი მომხმარე გაუჩნდა.

და აი, აცხადდა მიზანი, ჭიები ცახებისაკენ დაიძრნენ. ნიშანი ქნეს და გამოკრეფის პერიოდიც დადგა. აივსო ჭურჭლები, მალე გიას მიერ მოწეული მოსავალი აიწონება და ცხადია, მოსავალი კარგა ბარაქიანი იქნება.

ეჭვი არ არის, რომ სამომავლოდ გია სვანიძის სახით ამ სასიკეთო საქმეს საიმედო ქომაგი ეყოლება.

სურათზე: გ. სვანიძე აპურებს ჭიას.

საკვები — 90

სათიბში მოიჯარეები არიან

ცაგერის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები უკვე შეუდგნენ საზოგადოებრივი პირუტყვის საკვების დამზადებისათვის ზრუნვას. უკვე რამდენიმე დღეა, აეროპორტის ტერიტორიას, რომლის ფართობი 18 ჰექტარს შეადგენს, კოლმეურნეობის მექანიზატორთა რგოლი (ხელმძღვანელი ა. საღინაძე) თიბავს.

ახმაურდა სათიბი. მექანიზატორების როლანდ საღინაძის და მალხაზ ლიპარტელიანის გადაწყვეტილება საზოგადოებრივი პირუტყვისათვის 100 ტონა საკვების დამზადებაა.

პუშკინი:

აკადემიური კრებული

ა.ს. პუშკინის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას მოიცავს მისი თხზულებათა სრული აკადემიური კრებული. ამ მასშტაბურ გამოცემაზე მუშაობა გადამწყვეტ სტადიაში შევიდა: წარმოებაში ჩაუშვეს პოეტის ლიცეუმის დროინდელი ლირიკის ტომი.

ნავარაუდევია, რომ მთელი გამოცემა იქნება 20 ტომი. რომელთაგან თითოეული გაყოფილია ორ ნახევარტომეულად, მათში შევა მხატვრული ნაწარმოებები, ყველა ვარიანტითა და რედაქციით, კრიტიკული და ისტორიული პროზა, დღიურები, ავტობიოგრაფიული მასალები. დანარჩენებში დაიბეჭდება წერილები და საქმიანი ქაღალდები.

ამგვარად, მკითხველს საშუალება ეძლევა თავისი პირადი ბიბლიოთეკა „მთელი პუშკინით“ შეავსოს. მის თხზულებათა აკადემიურ კრებულზე ხელმოწერა 1992 წელს გამოცხადდება, ხოლო გამოცემათა დასრულება ნავარაუდევია 1999 წელს—რუსეთის დიდი შვილის დაბადების 200 წლისთავზე.

საბაზრო ეკონომიკა — სირთულეები მოგველის, მაგრამ . . .

აქტუალური ინტერვიუ

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ საბაზრო ეკონომიკაზე, მის გარდუვალობაზე. სპეციალისტები კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ რამეულნადაც დავაგვიანებთ ამ პროცესზე გადასვლას, მით უარეს დღეში აღმოვჩნდებით. მართალია, პირველ ხანებში იქნება სირთულეები, მაგრამ შემდეგ ბაზარი თავად დაარეგულირებს ფასებს. ახლა, როცა მთელს ქვეყანასა და საქართველოში რთული ეკონომიკური სიტუაციაა, მკითხველისათვის საინტერესო იქნება თვალსაზრისი საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაზე.

ამიტომ რამდენიმე კითხვით მივმართეთ სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ა. ხეცურიანს.

მოახლოვდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. გამოცდილების ანალოგი, ბუნებრივია, არ გვექნება საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ გარკვეულად მაინც უნდა დავესესხოთ მოწინავე ქვეყნებს.

როგორ აღვიქვამთ მიმდინარე ამ პროცესს, საერთოდ მიგაჩნიათ თუ არა საბაზრო ეკონომიკა კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად?

როგორ გითხრათ, საბჭოეთის სინამდვილეში იმდენი მცნება და ღირებულება გაყალბდა და გადაფასდა, რომ ყოველგვარი სიახლე, რომელზედაც გუშინ ხმაურს ავტეხდით ხოლმე და დიდ პროპაგანდასაც ვუწევდით, დღეს დიდ სიფრთხილეს, განგარიშებასა და ყველაფრის აწონ-დაწონას, რეალური მდგომარეობის გათვალისწინებას საჭიროებს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმის გაგება, რომ ბაზარი თავად არის ფასების რეგულატორი და მისი ხელოვნური მართვა შეუძლებელია.

ჩვენ ადრე გვასწავლიდნენ და სხვებსაც ვასწავლიდით, რომ სოციალისტური ბაზარი არის „დირექტიულ - განაწილებითი“, კაპიტალისტური კი კონკურენტუნარიანი ანუ მძარცველური. სოციალისტურ ურთიერთობას ვთვლიდით გეგმური სოციალისტური ეკონომიკის, ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთად ერთ სწორ ფორმად.

მაგრამ ცხოვრებამ, 70-წლიანმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ პროდუქციის წარმოებით, ხარისხით, გასაღებით ყოველმხრივ ჩამოვრჩით კაპიტალისტურ ქვეყნებს. სწორედ აქ ჩანს სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკის რადიკალური სხვაობა.

ეკონომიკის მცდარ საფუძველზე მოწყობამ, ჩვენთვის სათაყვანო სოციალიზმის გამოდენებამ, გეგმის შესრულების რაოდენობრივმა მხარემ, უგერგილო მუშაობამ, სხვა უამრავმა უარყოფითმა ფაქტორმა გამოიწვია ეკონომიკის ანაქრონისტული განვითარება, რაც მიგვიყვანდა და მიგვიყვანა კიდეც კატასტროფამდე.

დღეს რეგულარულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით მთავრობა ცდილობს კრიზისიდან თავის დაღწევას, კარგ რეგულირებად მიაჩნია პირველადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის კვების პროდუქტებზე ფასების ორ-სამჯერ მომატება. მინიმალური ხელფასით მცხოვრებ ადამიანებს სანაცვლოდ პირდებიან საკომპენსაციო მცირე თანხას, რომელიც მხოლოდ პურის ფასად თუ ეკმარება ოჯახს. ამ ფონზე თუ დღევანდელ ფასებს გადავხედავთ, ადვილად დავინახავთ, რომ ასეთი ოჯახები ბაზრის სტაბილურ რეგულირებამდე პურსა და წყალზე უნდა დავტოვოთ.

ზემოთნათქვამი მწარე სიმართლეა, მაგრამ ჩვენი რეალური სინამდვილეა. გაჭირვება, კრიზისი ათეული წლებია მომდინარეობს. მაგრამ გვინდა, არ გვინდა, საბაზრო ეკონომიკა გვერდზე არ დაგვტოვებს, არ არსებობს სხვა გზა ცივილიზაციისაკენ მიმავალი.

მაგრამ საჭირო მთავრობა მეტად დაინტერესდეს მცირეშემოსავლიანი ოჯახების ბედით, მათი ინტერესებით.

დღეს კარგად ვიცით ხალხში ფული ტრიალებს, ეს მართლაც ასეა. მთავრობას აწუხებს მუთაქაში შენახული ფულის პრობლემა და აუქციონით ვაჭრობაც კი დანერგა, მაგრამ ერთხელ კიდევ ვიფიქროთ, ვის, რა კატეგორიის ხალხს აქვს ფული.

ფასების ახლანდელი რეგულირება ჩემის აზრით, არა საშუალო და მცირეშემოსავლიანი ადამიანების მდგომარეობას ემსახურება, არამედ დაუბალანსებელი დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის შველას. იმის მაგივრად, რომ შემცირდეს არამწარმოებლური ხარჯები იმ უწყებების შტატების შენახვაზე, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დეფიციტის შევსებას ნაწილობრივ ფასების რეგულირების ხარჯზე აპირებენ, რაც ისევ და ისევ მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ კაცს, მწარმოებლურ ძალას.

ამიტომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე, საჭიროდ მიმაჩნია, მთავრობამ უცვლელად დატოვოს არსებული ფასები მოსახლეობისათვის აუცილებელი მოხმარების საქონელზე.

როგორ გესახებათ ეროვნული ეკონომიკის განვითარება?

არა მგონია ნებისმიერ რესპუბლიკას აწყობდეს იმპერიული საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკა. რესპუბლიკებს შორის მჭიდროდ გადახლართულმა ეკონომიკურ-სამეურნეო კავშირმა, რომლის პულტთან დგას ცენტრი, რა დღეშიც ჩაგდო რესპუბლიკები (ბალტიისპირეთის მაგალითი), ნათელია.

ჩემის აზრით, ყოველმა რესპუბლიკამ, და მით უფრო ჩვენ, გეზი უნდა ავიღოთ ეროვნული ეკონომიკისაკენ. ვიდრე ძირფესვიანად არ შეგვიცვლია იმ დარგებისა და საწარმოების პროფილი და განლაგება, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება, უნდა მოვახდინოთ პროდუქციის ექვივალენტური გაცვლა, და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეძლებთ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამიტომ სტაბილური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია ჩვენი მკლავებდაკაპიწებული შრომა, უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ამის შემდეგ ვერც ბლოკადა დაგვაკლებს რასმეს და ვერც ბაზარი.

ჩვენი რაიონის სინამდვილეში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა მიმაჩნია ერთ-ერთ სწორ გამოსავალად რაიონის ეკონომიკის განმტკიცების გზაზე. პრაქტიკულად ვხედავთ, რაკი გლეხმა მიწა-სავარგული თავისად დაიგულა, ერთი მტკაველიც არ დატოვა მოუვლელი. გაისად და მერმისად კიდევ მეტს გააკულტურებს, თვითონაც მოიხმარს მიღებულ მოსავალს და სახელმწიფოსაც მრახმარს.

როგორ წარმოგიდგენიათ რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საფინანსო სისტემის მოწესრიგება?

დღევანდელი ცენტრალიზებული მართვის პირობებში სახელმწიფო საწარმოდან მოგების 35 პროცენტი საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო 25 რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება, რაც არ იძლევა საწარმოს ეკონომიკის დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას.

სამართლიანი საფინანსო სისტემის დროს მიზანშეწონილია რაც შეიძლება მეტი მოგება დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტსა და საწარმოში. თუ ადგილობრივ ბიუჯეტს ექნება საშუალება დააგროვოს ყველა შემოსავალი, სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს იგი საერთო ინტერესებისათვის.

იგივე უნდა ვთქვა მოქალაქეთა საშემოსავლო დაბეგვრის თაობაზე. ეახლა ფარდა სინამდვილეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთი მომუშავე იღებს მის მიერ შექმნილი ფასეულობის 25-28 პროცენტს და ამასთან იბეგრება ყიდეც. ასეთ პირობებში საერთოდ არ უნდა იყოს საშემოსავლო გადასახადი, ან თუ იქნება, რაც შეიძლება ნაკლები, რომ დაინტერესდეს ადამიანი თავისი შრომითა და მისი მაღალნაყოფიერებით.

რა აზრისა ხართ დღევანდელ ფასებზე, ფასწარმოქმნის ფორმაზე?

ფასი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, განსაზღვრავს [illegible] დუქციის [illegible] ას, რომელიც დგინდება ამ პროდუქციაზე მოთხოვნილებით და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით. მწარმოებლის ინტერესის გათვალისწინება ნაკარნახევი უნდა იყოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის რეალური შემოსავლით.

ფასებს და მშრომელთა ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება ჩვენი პირობებისათვის მიუღებელი მშენებლობანი. ჩვენი რაიონის სინამდვილეში გავიხსენოთ სასურსათო კომბინატის ე. წ. ტიპიური რკინის კონსტრუქციებით ნაგები შენობა, რომელმაც მთის რელიეფსა და ზამთარს ვერ გაუძლო და დაინგრა, არა ერთი მეცხოველეობის კომპლექსი, რომელთაც მილიონობით თანხა შეეწირა, ამონაგები კი არ მიგვიღია.

რაც შეეხება ზარალიან პროდუქციაზე დოტაციებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იგი მიდის ისევ და ისევ უხეირო, უგერგილო მუშაობის შედეგად სახელმწიფო სესხების დასაფარავად და სხვა არამწარმოებლური ხარჯების დასაფინანსებლად.

ერთი სიტყვით, მოახლოებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მკაცრად უნდა იმუშაოს თვითდაფინანსების მექანიზმმა. საქმეს შელამაზება და შენიღბვა ვერ უშველის, იგი დაძაბავს ისედაც დაძაბულ ვითარებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორ გესახებათ ჩვენი, საგეგმო კომისიის საქმიანობა?

სწორი შეკითხვაა, ამომწურავი პასუხის გაცემა, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით მიჭირს და რატომ:

ჯერ კიდევ არ ჩანს ახლებური დამოკიდებულება ეკონომიკის მართვისადმი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი უფლება-მოვალეობანი რადიკალურად უნდა შეიცვალოს. თუ დღეს ძირითადად, დაკავებული ვართ გეგმური მონაცემების განსაზღვრა-დამტკიცებითა და მათ შესრულებაზე კონტროლით, ხვალ ეს პროცედურა საერთოდ არ იქნება საჭირო. მაგრამ ჩვენ უნდა დავსაქმდეთ საწარმოთა და სახელმწიფოს შორის ურთიერთკავშირის კოორდინაციით, საბიუჯეტო ორგანიზაციების პრაქტიკული საგნობრივი დახმარებით. კომისიამ უნდა განსაზღვროს რაიონის ეკონომიკის განმტკიცების რეალური პერსპექტივა და მისი განხორციელების კონკრეტული გზები.

ესაუბრა **მ. ძნელაძე.**

ადამიანები ჩვენს გვერდით

ყოველი დღე ახალი საზრუნავით იწყება

ახლა გაცხოველებული შრომითი დღეები უდგათ სოფლის მშრომელებს. საქმე და საზრუნავი ყოველთვის ბევრია. მაგრამ ახლა იგი ერთბაშად მოზღვავდა — ვაზის მკურნალობა, მწვანე ოპერაციები, ნათესების შოლა, აბრეშუმის გამოკვება თუ სხვა მრავალი.

ახლა, როცა უპირველეს ამოცანად ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისათვის თითოეულის მკლავმოუღლელი შრომაა საჭირო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამას, თუ ვინ როგორ ირჯება, როგორი წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

ტვიშის კოლმეურნეობაში მოწინავე მშრომელი რომ მოვიკითხე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ რ. ქვარიანმა ორხველი ვალოდია ახვლედიანი დაასახელა, ნაღდი, საქმის ერთგული კაციაო, გვითხრა.

ვალოდიას მთელი ცხოვრება, მისი წარსულიცა და აწმყოც, ერთი პატიოსანი მშრომელი კაცის განსახიერებაა. მოუღლელი მარჯვენა ჩვეული, მისთვის დამახასიათებელი ერთგულებით უვლის ოჯახს, სოფელს, კუთხე-მეზობელს.

ჯერ არავის ახსოვს საქმეში თავი შეერცხვინოს. საიჯარო შრომის ფერხულში ერთ-ერთი პირველი ჩაება, გონიერმა მეურნემ ალიო აუღო იჯარას. მზის ამოსვლას ყანასა და ზვარში ეგებება, ამიტომაც არის, რომ გულს ახარებს მისი ზვარი. გონის ტერიტორიაზე ორჯერ ვათოხნილ-განოყიერებული ყანა. ვალოდიას შრომაში მხარს უმშვენებს მეუღლე. იგი ერთ-ერთი სახელდებული მეაბრეშუმეა. ამ დღეებში „თეთრი ოქროს“ ულვ მოსავალს შუმატებს საერთო ხვავს.

ნანამ და ვალოდიამ ოთხი შვილი. სამი ვაჟი და ერთი ქალი გაუზარდეს ქვეყანას. ბიჭებმა მხედრული ვალი მოიხადეს და შობლიურ სოფელს დაუბრუნდნენ. დღეს ხომ სოფელია ქვეყნის ბალავარი.

ყოველი დღე ახალი საზრუნავით თენდება. ღმერთმა, ალალი გარჯით მიღებული დოვლათი ნუ მოუშალოს ახვლედიანების ოჯახს.

ბ. ბაქრაძე.

რედაქციაში მოქალაქე მოვიდა

რაზომ აგვიგვიანეს ბუჩალე?

ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე, სხვა რა დავარქვათ იმ ფაქტს 5 ივლისს, ქალაქის ცენტრალურ პურის სარეალიზაციო გამოკეტილ მაღაზიაში, შესვენებაზე ერთი ცალი პური რომ არ იყო. პურის მოლოდინში მიმხმარებელები თანდათან ბუზღუნით იშლებოდნენ, ზოგი ამბობდა: ალბათ, გამყიდველი ამბის გასაგებად არის წასულიო, ზოგიც კი ყველას გასაგონად ხმამაღლა იძახდა: განმკითხავი არავინ არისო.

პასუხს პურკომბინატის დირექციისაგან ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრის ფურცლებზე მოველით, პასუხს არა თავისმართლებისათვის, არამედ იმ უპასუხისმგებლობისათვის, ვინც იმ დღეს შესვენების დროს მუშა-მოსამსახურეები უსადილოდ დატოვა.

მომხმარებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტი და დამსვენებელი

მეთხუთმეტე წელია რაც რაიონული მნიშვნელობის კურორტი „ლაშიჭალა“ რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გადაიქცა, რომელიც რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეობას“ ეკუთვნის. გაერთიანებისა და კურორტის ხელმძღვანელებმა სიძნელეების მიუხედავად შექმნეს ნორმალური პირობები მოქალაქეთა მკურნალობისა და დასვენებისათვის.

კურორტმა „ლაშიჭალამ“ ბოლო წლებში შორს გაითქვა სახელი უნიკალური მინერალური სამკურნალო წყლებით, რის გამოც აქ ყოველწლიურად მატულობს დამსვენებელთა რიცხვი. თავდაპირველად, 15 წლის წინ პანსიონატი „ლაშიჭალა“ 150 საწოლზე იყო გახსნილი, რაც ვერ აკმაყოფილებდა ამ უნიკალური წყლებით მკურნალობის მსურველებს. შემდეგ იგი გაფართოვდა, აიგო რამდენიმე კეთილმოწყობილი ბინა და წელს საწოლთა რაოდენობამ 230 მიაღწია.

ლაშიჭალის მინერალური წყლების სიკეთის ამბავი კარგა ხანია გასცდა ლეჩხუმის ფარგლებს. აქ სამკურნალოდ მოდიან ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან, ბევრი მათგანი გრძნობს რა მკურნალობით მიღებულ კეთილ შედეგებს მეორედ, მესამედ, მეოთხედ და კიდევ მეტჯერ მოდის ლაშიჭალაში.

კურორტ „ლაშიჭალას“ ა ადგილზე მოედინება ბუნებრივი მინერალური წყარო, ამას გარდა არის ჭაბურღილით მიღებული წყალი, რომლებსაც იყენებენ კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ქრონიკული გასტრიტის, ქლორეცისტიტის, კოლიტის, ღვიძლის ჰეპატიტის, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, შაქრიანი დიაბეტის, ხოლო მინერალური წყლის აბაზანებს— ქრონიკული რადიკულიტის, ართრიზის, ძვალსახსროვანი სისტემის სამკურნალოდ.



ავადმყოფთა და დამსვენებელთა მკურნალობას ყოველდღიურ კონტროლს უწევს ადგილზე მუდმივად მომუშავე ოთხი, შეთავსებით მომუშავე ერთი ექიმი და 14 უმცროსი სამედიცინო მომსახურების მუშაკი. მათ განკარგულებაშია საჭირო სამედიცინო დარაღ-ხელსაწყოებით აღჭურვილი ფიზიო-თერაპიული, ფუნქციური დიაგნოსტიკის, მასაჟის, ზონდირების კაბინეტები, ბიოქიმიური და კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, საბაზანო და კეთილმოწყობილი სასადილო.

ახლა „ლაშიჭალაზე“ სიწყნარეა. სეზონი თხუთმეტ მაისს დაიწყო, ამჟამად მეორე ნაკადის მიღება დამთავრდა, უკვე 230 დამსვენებელია.

რამდენჯერმე ვყოფილვარ ლაშიჭალას, მიმკურნალია მისი უნიკალური წყლით, ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი მკურნალობითა და მომსახურებით, მაგრამ ასე კარგად პანსიონატი, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ჩვენის აზრით, როგორც წელს, არასდროს მომზადებულა სეზონისათვისო—გვითხრეს დამხვდურმა დამსვენებლებმა პერსონალურმა პენსიონერმა, ცაგერელმა გ. ბენიძემ, ზესტაფონელმა პენსიონერმა დ. ხვედელიძემ და სხვებმა.

პანსიონატის დირექტორმა კ. ჯინჭარაძემ გვითხრა: ადრე გაზაფხულიდან შევუდექით მიმდინარე წლის სეზონისათვის მზადებას, ბევრი რამ გავაკეთეთ, რასაც თქვენი თვალიც დაგაჯერებთ და დამსვენებლებიც დაგვიდასტურებენო. ჩვენც მათთან ერთად საგულდაგულოდ დავათვალიერეთ დამსვენებელთა საცხოვრებელი ბინები, საბაზანო, სასადილო, სამკურნალო კაბინეტები, ვესაუბრეთ დამსვენებლებს და ჩვენი თვალით ნანახმა და დამსვენებლების ნაამბობმაც დაგვარწმუნა, რომ ყველგან წესრიგი სუფევს, შინ და გარეთ იგრძნობა პანსიონატის მუშაკთა პასუხისმგებლობა. სისუფთავეა საცხოვრებელ კორპუსებში, სასადილოს სამზარეულოსა და სამრეცხაო ბლოკში, კურორტის ტერიტორიაზე, ტუალეტებში, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ნორმალური მკურნალობისა და დასვენებისათვის.

საცხოვრებელი ბინებისათვის ჩაუტარებიათ მიმდინარე რემონტი. 5 საძილე კორპუსი და სასადილო გადაუხურავთ ალუმინის სახურავით. კეთილმოუწყვიათ კურორტის შიდა გზები, რეკონსტრუქცია გაუკეთებიათ კურორტის ტერიტორიის გარეგანათების ქსელისათვის. დამთავრებულია ახალი ბუფეტის მშენებლობა №1 წყაროსთან, №5 წყაროსთან დამაკავშირებელ 120 მეტრიან ხიდზე მოწყობილია ელექტროგანათება და ამით დამსვენებლებს საშუალება მიეცათ ღამითაც გავიდნენ ხიდზე. მავთულ ბადითა და რკინის გისოსებითაა შემოკავებული №5 წყაროს ტერიტორია.



ლაშიჭალა: პირველი ნლრმალურია

პანსიონატის ტერიტორიას ბუნებრივ მარადმწვანე მცენეებთან ერთად ამშვენებს ახლო წარსულში დარგული ნაყოფისმომცემი და მარადმწვანე მცენარეები, ყვავილნარები, მსხმოიარეობაში შესული იზაბელას ჯიშის ვაზის ტალავრები. ერთ ჰექტარზე გაშენებულ ბოსტანში მოწეული ბოსტნეულით მთლიანად კმაყოფილდება სასადილო და მისი შეძენა აღარ სჭირდებათ. კარგად უვლიან გასულ წელს შეძენილ 40 ოჯახ ფუტკარს, საიდანაც ამ დღეებში მიიღებენ საუკეთესო თაფლს, რომელიც განკუთვნილია დამსვენებლებისათვის.

დამსვენებლები და ავადმყოფები არც კვებით, მზარეულთა და მიმტანთა მომსახურეობით არიან უკმაყოფილო. ჯერჯერობით სამზარეულოს არ შემოჰკლებია ხორცი და რძის პროდუქტები (ხაჭო, არაყანი, ყველი, შედედებული რძე) კერძების ხარისხი კარგია. გამომცხვარი პურით კურორტს ამარაგებს ლაჯანის პურის საცხობი. პურის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დიაბეტით დაავადებულებმა, რომელთა რიცხვი ასამდე აღწევს, შემოგვჩივლეს, რომ შეფერხებებია შავი პურით მომარაგებაში, რაც აუცილებელია დიაბეტიანებისათვის და კურორტის ხელმძღვანელობა იძულებულია წყალტუბოსა და ქუთაისში შესყიდოს დიაბეტიანებისათვის შავი პური. აღნიშნული უნდა გათვალისწინოს პურკომბინატის დირექციამ.

კურორტზე ძირითადად შექმნილია ნორმალური პირობები დამსვენებელთა კულტმასობრივი მომსახურეობისათვის. კეთილმოწყობილ კლუბში სისტემატურად ტარდება კინოსეანსები. არის სხვადასხვა სახის გასართობი საშუალებები: ჭადრაკი, შაში და სხვა. დამსვენებლებს ემსახურება ბიბლიოთეკა. მოეწყო დამსვენებელთათვის ექსკურსია, ექიმთა მიერ ჩატარდა რამდენიმე ლექცია, მაგრამ დამსვენებელთათვის გაწეული კულტურული მომსახურება დამაკმაყოფილებელი არ არის. მეტი რაოდენობით უნდა ტარდებოდეს ლექცია-საუბრები, კონცერტები, საღამო-წარმოდგენები, ექსკურსიები, სხვადასხვა თამაშობანი. სეზონი თითქმის ორი თვეა დაწყებულია, მაგრამ ცაგერის სარაიონო ან კურორტთან ახლომდებარე ორბელის, ლაჯანის, ალპანის სასოფლო კულტურის სახლებს დამსვენებლებთან რაიმე ღონისძიება არ ჩაუტარებიათ, აღნიშნული მეტყველებს კურორტის კულტმუშაკის არასაკმაო მუშაობაზე.

კურორტის ხელმძღვანელობა, დამსვენებლები უკმაყოფილო არიან ცაგერი-ლაშიჭალის მარშრუტის ავტობუსის მომსახურებით, ხშირია საავტობუსო რეისების ჩაშლის შემთხვევები, რის გამოც გვიანდება ყურნალ გაზეთებით ბიბლიოთეკის მომარაგება, დამსვენებელთა გადაყვანგადმოყვანა.

კურორტს მეორე კვარტალში ფონდით გამოყოფილი ჰქონდა ხორცი (ცოცხალი წონით) 2 ტონა, რაც არ მიუღიათ. მესამე კვარტალშიც არის გამოყოფილი ხორცი, რომელიც ადგილზე უნდა მიეცეს ცოცხალი წონით. ამ საქმის მოგვარებაში კურორტის დირექციას ესაჭიროება რაისაბჭოს აღმასკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელთა დახმარება.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა კურორტ „ლაშიჭალით“ სარგებლობაზე ზაფხულის თვეებში, ახლაც არის პრობლემები და მათი წრე კიდევ უფრო გაფართოვდება მომდევნო თვეებში, თუ ყველა საჭირო უწყება არ იზრუნებს მათ დროულად გადაწყვეტაზე.

დამსვენებლებმა მოკრძალებულად გვითხრეს ამ შესანიშნავ სამკურნალო და დასასვენებელ ადგილს მეტ ელფერს მისცემდა, რომ დროულად მოეწყობოდეს ტელეგადაცემების მიღება, ორბელი-ლაშიჭალის გზის მოასფალტება, რადიოწერტილების ბინებში მოწყობა და პერსპექტივაში ისეთი კომფორტაბელური სანატორიუმის კომპლექსის აშენება, რომელიც მთელი წლის მანძილზე იმუშავებსო.

„ლაშიჭალა“ სეზონზე რესპუბლიკის მრავალ დამსვენებელს ღებულობს და თუ როგორი იქნება სტუმრების თვალში აგარაკის იერ-სახე და მომსახურების კულტურა, ამაზე დიდადაა დამოკიდებული რაიონის ავტორიტეტი. ამ ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა.

იმედია პანსიონატის დირექცია, მთელი მომსახურე პერსონალი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დამსვენებლებმა ნორმალურად იმკურნალონ, დაისვენონ, გაიკაჟონ ორგანიზმი და ახალი ენერგიით შეუდგნენ შრომას.

ვლ. დავითულიანი.

●

სურათებზე (ზევით): კურორტის ახალი საცხოვრებელი კორპუსები.

ქვევით (მარცხნივ): ექიმი კარდიოლოგი ნათელა ჩომახიძე აწარმოებს ავადმყოფის გამოკვლევას.

მარჯვნივ: კურორტის დამსვენებლები ბიბლიოთეკაში.

ზ. გზოგბავას ფოტოები.

●

ელექტრომაგნიტური ველი ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს

ვაშინგტონი, (საკადესი). მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე უოველგვარი საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები, მათ შორის უთოც, ქმნიან ელექტრომაგნიტურ ველს, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს უქადიან ადამიანის ჯანმრთელობას. ეს შემაშფოთებელი ახალი ამბავი გადმოსცა საერთო ეროვნულმა ამერიკულმა ტელეკომპანია სი-ბი-ესმა, რომლის ხელთ აღმოჩნდა გარემოს დაცვის სააგენტოს კონფიდენციური მოხსენების პროექტი.

სააგენტოს დოკუმენტი შეიცავს დასკვნას ელექტრომაგნიტურ ველებსა და ონკოლოგიურ დაავადებებს შორის არსებული პირდაპირი კავშირის შესახებ. იგი გაკეთდა იმ სატელეფონო კომპანიის პერსონალის გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, რომელიც ემსახურება ელექტრონულ მოწყობილობას, აგრეთვე ბავშვებისა, უშუალოდ მაღალი ძაბვის ხაზების სიახლოვეს რომ ცხოვრობენ. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ეს ჯგუფი სხვებთან შედარებით უფრო ხშირად სნეულდება ონკოლოგიური დაავადებით.

ამჟამად ექსპერტები რეკომენდაციას იძლევიან შეძლებისდაგვარად თავი ავარიდოთ მაღალი ძაბვის ხაზების ქვეშ საბინაო მშენებლობას და რაც შეიძლება ნაკლები დრო დავყოთ ელექტროხელსაწყოებთან.

საკონდიტრო კომბინატ „როტ ფრონტ"-ის მუშაკებისაგან შემდგარი იოგოთერაპიის პირველი ჯგუფი შეუდგა ჰათხა-იოგის პოზების შესწავლას. მიზანი ასეთია: სხეულის ფლობის შესწავლა და მისი გაკაჟება. ფსიქოფიზიკური რელაქსაციისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პოზების შესწავლის მეცადინეობებს ატარებენ აღმოსავლეთის გამაჯანსაღებელი სისტემის საკავშირო ასოციაციის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი „ლოტოსის", გაერთიანება „ეკოლოგიის" და საერთაშორისო ასოციაცია „პლანეტის აღორძინების" სპეციალისტები.

სურათზე: ინსტრუქტორი სერგეი მირონოვი კონდიტერთა ჯგუფთან ერთად სწავლობს ჰათხა-იოგის პოზებს.

საკადესის ფოტოქრონიკა.

გამოსათხოვარი

ელპიტო ილიას ასული ღეთოდიანი—მოწიწებით წარმოვთქვამთ დღეს ამ სახელს, მოწიწებით ვხრით თავს მისი ნათელი ხსოვნის, ქალობის წინაშე.

ულმობელია დრო. წლებმა თავისი გაიტანა და საუკუნოდ წავიდა ჩვენგან ერთი შესანიშნავი ქართველი ქალი.

ძველი და საშუალო თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს ქალბატონი ელპიტოს შრომა-გარჯა, თავდადება.

მეუღლე აბესალომ ლეთოდიანი სამამულო ომში რომ გაისტუმრა, სრულიად ყმაწვილი ქალი იყო, 4 შვილის დედა. წავიდა მეუღლე და უკან აღარ დაბრუნებულა, უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა გმირის სიკვდილით.

ომის შემდგომ წლებში უკრაინის სსრ ჩუდნოვის რაიონის სოფელ ტროშჩის საშუალო სკოლის პიონერებმა აბესალომ ლეთოდიანის საფლავი იპოვეს, მერე ოჯახს შეატყობინეს ჯარისკაცის გმირულად დაღუპვის ამბავი.

ამის შემდეგ დამყარდა მეგობრობა ცაგერისა და ჩუდნოვის რაიონებს, ტროშჩის და ცაგერის კოლმეურნეობებს შორის, მიდი-მოდიოდნენ დელეგაციები. მეგობრობა დღემდე გრძელდება.

თავად ელპიტომ ვერ შეძლო ქმრის საფლავის ხილვა, ვერ [illegible] მეუღლის გული ამან.

მარტოხელამ პატიოსანი შრომით აღზარდა შვილები, დააოჯახა. სულ მოწინავეთა რიგებში ითვლებოდა, პატივდებული იყო მთელს რაიონში. ათეული წლები ცაგერის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის ბრიგადირი იყო. არჩეული იყო რაიონული საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად.

მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო მედლებით, სიგელებით.

წლები ბევრს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ ჯერ მეუღლის, მერე ერთადერთი ვაჟიშვილის გვის უდროოდ დაღუპვამ წელში გატეხა, ვეღარ გაუძლო დედის გულმა შვილის დაკარგვას.

წავიდა ჩვენგან ერთი შესანიშნავი ქალი, დედა, მშრომელი.

მის საფლავს არასოდეს მოეძალება ბალახი, მის ხსოვნას არ მოაკლებდა ნათელი.

ქალთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ჯილოცავთ

თინა ალექსანდრეს ასულ ლიპარტელიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს. კიდევ მრავალი სიხარული გენახოთ.

ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამკერვალო საამქროსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის თანამშრომლები.

ნუნუ მამარდაშვილს
მიშა უჩაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ქალი, კვლავაც სიხარულსა და გამრავლებას გისურვებთ.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

ჯილოცავთ
ახალგაზრდა ქორწინებულებს!

ღვლა ცინარიძეს
გოჩა ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლე ნუ მოკლებოდეს თქვენს ქართულ ოჯახს.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილებისა და დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები.

დედა გულო, მამა ზაური, ბებიები გოგუცა, სერნო, ბაბუები ბიქტორ ცვარიანი, დავით კვირკაშვილი, მამიდები დალი, მარინა, დეიდები მზია, ჟუჟუნა, ნინო, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

დაკრძალვა 8 ივლისს, კვირას, 4 საათზე, ქ. ცაგერში.

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

ორბელის ღვინის საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რაჟდენ კაკიტაძეს დედის

ნადია კაკიტაძის

გარდაცვალების გამო.

დავით, სოზარ ცვარიანები, მურთაზ, სოსო, ავთანდილ ბერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქალაქის ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, ლოლა კოპალიანებს მამისა და ძმის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ჯაბო დავითულიანი, ვახტანგ ომანაძე, შალვა ყურაშვილი, კვაჩუნა, კუკურა ბერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლოლა, ამირან ჩახულიანებს ძმისა და ცოლისძმის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები დათო ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

ცაგერის საშუალო სკოლის 1950 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ თალიკო ყურაშვილს მეუღლის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

დავით, ბუჭუ, ელგუჯა, როინ, მევლუდ ლიპარტელიანები, ქორა, შალვა შკუბულიანები, იური ბრეგვაძე, მიშა, თამაზ ბენდელიანები, დათო საღინაძე, ვალოდია გოგიძე, კოლია ხვადაგიანი, რაფიელ ნემსწვერიძე, დავით კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელპიტო ილიოს ასული ლეთოდიანი

შვილები ნინა, გენო, ციალა, ფაფალა, ლილი, რძლები ჟუჟუნა, მაყვალა, მზია, სიძეები ევგენი, აქსენტ სილაგაძეები, სოგრატ კოპალიანი, ქორა მახარობლიძე, მერაბ მოსეშვილი, დავით ბენიძე, შვილიშვილები ნინელი, მურთაზი, მაიზერი, მაგული, მზია, შმაგი, კახა, იზა, ემზარი, ნატო, დიტო, ციცო, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პასიკო ალექსის ასული ჭაბუკიანი-გურგუჩიანი

დაკრძალვა 8 ივლისს, კვირას, სოფ. ორბელში.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ზაურ ცვარიანს შვილის

ლევან ცვარიანის

გარდაცვალების გამო

უჩა, ალექსანდრე, აქვსენტ, ბორის გოლეთიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულო, ზაურ ცვარიანებს შვილის

ლევან ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

უჩა არჯევანიძე ოჯახით თანაუგრძნობს ლილი გურგუჩიანს დედის

პასიკო ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ღვინის ქარხნის ადმინისტრაციისა და ცაგერის ღვინის საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რაჟდენ კაკიტაძეს დედის

ნადია კაკიტაძის

გარდაცვალების გამო.

შოთა, კარლო, ჯემალ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

ვალერიან, დათო, რამაზ, ნუგზარ, კუკური, სერგო, ბიჭიკო ჩიქოვანები, გივი ახვლედიანი, ალექსანდრე ბერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ცვარიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაურ, ბუჭუ ცვარიანებს შვილისა და შვილიშვილის

ლევან ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა [illegible] ტირაჟი 4860

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,